ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისი

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია

სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო

ქ. თბილისი

25 სექტემბერი, 2020 წელი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია და სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო (შემდგომში – მხარეები),

გამოთქვამენ რა სურვილს, ხელი შეუწყონ ქვეყანაში თავისუფალი, მიუკერძოებელი, გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას,

ითვალისწინებენ რა, საჯარო მოსამსახურეების როლის მნიშვნელობას დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პროცესში,

იზიარებენ რა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არჩევნების ჩატარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად საჯარო მოსამსახურეების მიერ კანონის მოთხოვნებისა და ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპების დაცვის აუცილებლობას,

ხელმძღვანელობენ რა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, საარჩევნო მიმართულებით ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის პრინციპებით,

გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და დებენ მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმი მიზნად ისახავს, საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენების, ასევე, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისა და მასში მონაწილეობის წესების დარღვევის პრევენციის უზრუნველსაყოფად, ხელი შეეწყოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირების ცნობიერების ამაღლებას შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო რეგულაციებთან დაკავშირებით.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანია, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (სწავლების ცენტრი) მიერ ევროპის საბჭოს საარჩევნო მხარდაჭერის პროექტთან თანამშრომლობით საჯარო მოსამსახურეებისთვის შემუშავებული საინფორმაციო-სასწავლო დისტანციური კურსის „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი – საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე" განხორციელების ხელშეწყობა.

მუხლი 3. მხარეთა თანამშრომლობის ფორმები

მემორანდუმის მიზნის გათვალისწინებით მხარეები თანხმდებიან, ურთიერთთანამშრომლობით, კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

ა) საჯარო მოსამსახურეებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო-სასწავლო დისტანციური კურსი განთავსდება ცესკოს და სწავლების ცენტრის მიერ, საქართველოში ევროპის საბჭოს პროექტთან „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში" თანამშრომლობით, შექმნილ ვებ-პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს დროსა და სივრცეში შეუზღუდავად საინფორმაციო-სასწავლო რესურსზე საჯარო მოსამსახურეების წვდომის შესაძლებლობას;

ბ) პროგრამის შესახებ საჯარო მოსამსახურეების ინფორმირებისა და საინფორმაციო-სასწავლო კურსში მათი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნებისთვის, უზრუნველყოფილ იქნება შესაბამისი საინფორმაციო-საკომუნიკაციო არხების გამოყენება;

გ) მემორანდუმის მიზნის მისაღწევად, საჭიროებებიდან გამომდინარე, მხარეები კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობენ სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე მემორანდუმი მოქმედებს მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე.
2. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ ეგზემპლარად (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

_____ თამარ ჟვანია (კომისიის თავმჯდომარე)

საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისი

_____ ვაჰაგ მურადიანი
(ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე)

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია

_____ გოჩა ლორთქიფანიძე (საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე)

სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო

_____ ეკატერინე ქარდავა (საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი)